დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ-წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: როლანდ შავაძე

წევრები:

თალიკო ჯაყელი -ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ფიქრია მუმლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

აკაკი სადუნიშვილი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

თამთა კამკამიძე - უცხოური ენების ექსპერტი

თამარ წულუკიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნოვრივი ექსპერტი

გიორგი ტაბუცაძე - ტექნოლოგიები

სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნინელი ცერცვაძე - მათემატიკის ექსპერტი

ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237102005

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	სოფელი ბახვი
ფაქტობრივი მისამართი	ოზურგეთი სოფელი ბახვი
საფოსტო ინდექსი	3506
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	bakhvi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 94 11 21

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 9 23 0000860104 11/07/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	01 – 02 აგვისტო, 2023.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის განმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბახვი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბახვი

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბახვი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 1-2 აგვისტოს, სსიპ-წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ექსპერტთა ჯგუფის წევრებიდან დაწესებულებაში ვიზიტი განახორციელეს ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა და საბუნებისმეტყველო საგნის ექსპერტემა. ჯგუფის დანარჩენი წევრების ჩართულობა თიმსის პლატფორმის გამოყენებით ოლაინ განხორციელდა.

ვიზიტის დროს ხარისხის უზრუნველოყოფის ექსპერტებმა სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუები შეთანხმებული განრიგის შესაბამისად გამართეს. ვიზიტის პირველ დღეს, შეხვედრები პიველი სამი სტანდარტის საკითხების განხილვას ეხებოდა, ხოლო მეორე დღეს გამართული შეხვედრების უმრავლესობა ეხებოდა სკოლის მეოთხე სტანდარტის საკითხებს. ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქრუტა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ უზრუნველყო სათანადო სამუშაო პირობების შექმნა ექსპერტებისათვის.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **700**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
3.4.1.	სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა.	უსაფრთხოების გარანტიების მიზნით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადებში სკოლამ განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: 1) სკოლის შენობის მდგრადობის შემოწმება. დასრულების თარიღი:10.08.2024; 2) ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართვულობის შემოწმება. დასრულების თარიღი:12.09.2024; 3) სკოლის შიდა და გარე პერიმეტრების ვიდეოკონტროლის სისტემით აღჭურვა. დასრულების თარიღი:20.05.2024.
3.6.3.	სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას	სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადაში (2023 წლის 30 სექტემბერი) სკოლამ ვებ გვერდზე განათავსოს 3.6.3. კრიტერიუმით განსაზღვრული სრული ინფორმაცია.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
2,1,2,	საბაზო საფეხური	მათემატიკის კურიკულუმში გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, საკითხები დაკლასტერდეს სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით და უნდა გამოიკვეთოს სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები ყველა თემისთვის.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

Aavtorizaciis eqspertTa jgufma gaiziara skolis argumentirebuli pozicia.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. თუმცა, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლა მუშაობს

ახალი მისიის ხედვის და ღირებულებების ფორმულირებაზე. სასკოლო საზოგადოების გადაწყვეტილებით, სკოლის ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდება სკოლის ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც დასრულებულდება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მშობელი, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი, მშობელთა კომიტეტის წარმომადგენელი, მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სკოლის პროფესიული კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, სკოლის ბუღალტერი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. აგრეთვე სკოლაში ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში სკოლას ახალი სტრატეგიული გეგმა ექნება, რომელიც დაეყრდნობა ახალ მისიასა და ხედვას. სკოლაში ჩატარდა თვისებრივი კვლევები, რომელთა მიზანი იყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის ახალი მისიისა და ხედვის ფორმულირება.

1.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლაში შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამები; კლასის საათების ფარგლებში გათვალისწინებულია უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის საჭირო მიმართულებები; ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში სკოლა ახორციელებს პროექტებს, რომელთა პრიორიტეტია ძალადობის პრევენცია (მიმდინარე საგანმანათლებლო პროექტი - „ერთი ცა გვაქვს ერთი მიწა, ფრთხილად ადამიანო!“ ორიენტირებულია მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაზე).

1.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. როგორც ვიზიტის დროს ინტერვიუებისას გამოიკვეთა, სკოლაში დამკვიდრებულია ფუნქციათა დელეგირების პრაქტიკა. სკოლაში შექმნილი და დამტკიცებულია ახალ მისიასა და სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მშობელი, პედაგოგიური საბჭოს

თავმჯდომარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი, მშობელთა კომიტეტის წარმომადგენელი, მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სკოლის პროფესიული კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, სკოლის ბუღალტერი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი.

1.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. ინტერვიურების დროს პედაგოგებმა განმარტეს ის პორცესები, რასაც სკოლა გადის ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბების ეტაპზე. აღწერეს და დაასაბუთეს უკვე არსებული მისიისა და ხედვის განახლების აუცილებლობა. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მომუშავე ჯგუფის წევრების ინფორმაციით ახალი მისიისა და ხედვის გაზიარების პროცესი სასკოლო საზოგადოებისთვის უფრო ეფექტური იქნება. სკოლის ახალი მისია ხედვა და ღირებულებები განთავსდება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას; გამოქვეყნდება სოციალურ ქსელში; მოეწყობა საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლებთან; კლასის საათების ფარგლებში გაეცნობიან მოსწავლეები.

1.1.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სასკოლო საზოგადოების გადაწყვეტილებით, სკოლის ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდება სკოლის ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც დასრულებულდება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მშობელი, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი, მშობელთა კომიტეტის წარმომადგენელი, მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სკოლის პროფესიული კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, სკოლის ბუღალტერი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი.

1.1.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

1.1.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი (პროექტი);
- სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-11;
- სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-42;
- მინისტრის ბრძანება N37/ნ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლას დაწყებული აქვს ახალ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მუშაობა. ამჟამად მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ინტერესების და მიმდინარე გამოწვევების გამოკვეთის საფუძველზე გრძელვადიანი და შუალედური პრიორიტეტების განსაზღვრა. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნილია ჯგუფი, რომელიც სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობას 2023 სასწავლო წლის დასაწყისისთვის დაასრულებს.

1.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შესაბამისობის გეგმის მიხედვით და დანართის სახით, სკოლამ წარმოადგინა 08.09.2023 თარიღით დამტკიცებული შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს მოკლევადიან მიზნების და ერთი წლის განმავლობაში შესასრულებელ ამოცანების ჩამონათვალს. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია საგნობრივი კათედრების ჩართულობით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, გამოკვეთილია ფორმალური და არაფორმალური განათლების პრიორიტეტები. ახალი სასწავლო წლისათვის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის შესასრულებელი აქტივობები, ასევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონკრეტული გეგმა.

1.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებაში არსებულ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შესაბამისი აქტივობები, რომელთა შესრულება შესაძლებელია, გაზომვადია და მკაფიოდ განსაზღვრულია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

1.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-11;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

სკოლის თანამშრომელთა უფლება მოვალეობებით გაწერილი ერთწლიანი სამუშაო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სტრატეგიაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი. სკოლა მუშაობს მონიტორინგის ახალი სისტემის შექმნაზე. ვინაიდან სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესშია, ჯერჯერობით მონიტორინგის საკითხები სრულიად ფორმულირებული არ არის, თუმცა გამოიკვეთა, რომ სკოლას გადაწყვეტილი აქვს

ძველი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ცვლილება. სკოლას აქვს მზაობა რომ ახალ სტრატეგიულ გეგმასთან ერთად შეიქმნას მონიტორინგის მეთოდოლოგიის სრუყოფილი დოკუმენტი.

1.2.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს (კათედრების, დირექტორის მოადგილისა და დირექტორის ანგარიშებით). ასევე კალენდარული წლის ბოლოს სკოლის დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს სასწავლო პროცესის და ფინანსურის საქმიანობის შესახებ. ხოლო, ახალი სასწავლო წლიდან სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმების შესრულების ახლებურ მონიტორინგსა და შეფასებას. მონიტორინგის მიზანი იქნება მიღწეული შედეგების შეფასება. სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები წარედგინება სამეურვეო საბჭოს. ტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებები განხორციელდება არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე.

1.2.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა: დირექტორი ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს, დირექტორის მოადგილე პედაგოგიურ საბჭოს. ასევე, პასუხისმგებელი პირები მიღწეული შედეგებს აცნობენ მოსწავლეთა თვითმმართველობას. სამომავლოდ იგეგმება შედეგების სკოლის სოციალურ ქსელში, და საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

1.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. ინტერვიურების პროცესში დადასტურდა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. განხილვის დროს გამოთქმული მოსაზრებების შესაბამისად სკოლა ახდენს გეგმის მოდიფიცირებას.

1.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულებია:

   დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი.

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრათან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. დირექტორის ბრძენაბაში (N2-93) გაწერილია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები:

დირექცია (დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი), პედაგოგიური პერსონალი, სპეციალური მასწავლებელი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში.

3.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში არსებობს პასუხისმგებლობების გადანაწილებაზე და გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი კულტურა. როგორც სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირებს შორის პასუხისმგებლობები გადანაწილებულია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელსუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.

   3.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება N2-93;
- სკოლის შინაგანაწესი;
- დირექტორის ბრძანება N1კ-27;

- დირექტორის ბრძანება N2-91.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული მარეგულირებელი დოკუმენტაციისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების (სკოლის შინაგანაწესი) შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება გამოცხადებული კონკურსების ჩატარების კანონმდებლობით დადგენილ წესებთან შესაბამისობა. დაწესებულებაში როგორც ძირითად შტატში მომუშავე, ასევე ხელშეკრულებით მოწვეული პირების დასაქმება ხდება კონკურსის წესით. კომისიის მუშაობის წესი განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. პერსონალის მართვის პოლიტიკის მოთხოვნები ვრცელდება როგორც ძირითად შტატში მომუშავე, ასევე ხელშეკრულებით მოწვეულ პირებზე.

   3.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა (*სსიპ -წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო*

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია: დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების მომზადების მიზნით; სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა; დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება.

სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისთვის დანერგილია შეფასების სისტემა, რომელიც ხელსშეუწყობს დასაქმებულთა საჭიროებების გამოვლენასა და ანალიზის საფუძველზე შემდგომ ინტერვენციას. 2020 წლიდან დაწესებულებაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელის მიზანია მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება; მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა; მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

3.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს სკოლის პერსონალის შერჩევის ობიექტურობას, გამჭვირვალობას და კანომდებლობასთან შესაბამმისობას; დაწესებულებაში ვაკანტური თანამდებობის არსებობის შემთხვევაში სკოლა აცხადებს შიდა და ღია კონკურსს. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ინფორმაცია შიდა კონკურსის შესახებ ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისათვის. ხოლო ღია კონკურსი განთავსდება ვებგვერდზე teacherjobs.ge. კონკურსის ვადები განისაზღვრება სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე. მასწავლებელთა პირად საქმეში დასტურედება

შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ცნობები (ნასამართლოების შესახებ; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ; უფლების ჩამორთმევის შესახებ).

3.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. მასწავლებელთა მიღება რეგულირდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა თანამშრომელთა დოკუმენტაცია, საკვალიფიკაციო მოთხოვნეთან შეუსაბამობა არ იკვეთება.

3.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებაში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლების ჩართულობას, გუნდურობას, პასუხისმგებლობათა გადანაწილებას, უფლებათა დელეგირებას. ვიზიტის დროს შესამჩნევი იყო სკოლის პერსონალის და ადმინისტრაციის პასუხისმგებლობოს გაცნობიერების მაღალი კულტურა.

3.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები ასახულია აქვს სკოლის შინაგანაწესში. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალპროფესიული სტანდარტით შესრულებისათვის სკოლა ხშირად მიმართავს წახალისების სხვადასხვა ფორმას. სკოლის თანამშრომელებისა და მოსწავლეთა წარმატებებისა დამადასტურებელი სიგელები და მოპოვებული ჯილდოები განთავსებულია სკოლის თვალსაჩინო სივრცეში.

3.1.2.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- დირექტორის ბრძანება N2-70;
- დირექტორის ბრძანება N2-71;
- დირექტორის ბრძანება N2-72;
- საკონკურსო კომიის სხდომის ოქმი N1. /12.10.2022;
- საკონკურსო კომიის სხდომის ოქმი N2. /13.10.2022;
- შრომითი ხელშეკრულება N14 /17.10.2022;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობაში შედის საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება. ჩატარებულ საგაკვეთილო პროცესში გამოვლენილი სირთულეების განხილვა-გაანალიზება და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა. ასევე, როგორც ინტერვიუებისას გამოიკვეთა, სასწავლო წლის ბოლოს ყველა მასწავლებელი სკოლის დირექციას წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს. საჭიროებების გამოკვეთის საფუძველზე სკოლა გემავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან/და სხვა ავტორიზებული ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში მონაწილეობას.

   3.2.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ჩართულობით და ასევე გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, სკოლა ადგენს პერსონალის განვითარების საჭიროებებს. რომელთა საფუძველზეც შეიმუშავებს გასატარებელი ღონისძიებების გეგმას. პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ხელშეწყობა ხორციელდება, როგორც სკოლის დონეზე, ასევე მასწავლებლის სახლის მიერ დაგეგმილ ტრენინგებზე და სხვა ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებზე დასწრებით. როგორც ინტერვიუებისას გამოიკვეთა, უახლოეს პერიოდში მასწავლებელები ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-მოდულს სახელწოდებით: „გარემოსდაცვითი და

აგრარული განათლება სკოლაში“. ასევე მასწავლებლები მონაწილეობდნენ USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში ლიდერ მასწავლებელთა პროგრამაში. მასწავლებლებს გავლილი აქვთ საქართველოს პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული სავალდებულო საგნობრივი ტრენინგი. სკოლის ექვსმა მასწავლებელმა გაიარა მეწარმეობის საფუძვლების ტრენინგები, Etwining-ის პროექტის ფარგლებში.

3.2.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და წინსვლაზე. მასწავლებლები აქტიურად ესწრებიან ტრენინგებს, ეროვნულ და რეგიონალურ კონფერენციებს. როგოც ინტერვიუებისას განაცხადეს, 2022 წელს სკოლიდან ცხრა მასწავლებელი მონაწილეობდა რაიონულ კონფერენციაში (ინოვაციები სწავლა- სწავლების პროცესში) ხოლო ხუთი მასწავლებელი ეროვნულ კონფერენციაში. ასევე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ხორციელდება სკოლაში მაძიებლად დარეგისტრირებული მასწავლებლის სკოლის ბაზაზე ხელშეწყობა.

   მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა თანამშრომლობს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონულ ორგანიზაციასთან, რომელიც მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისთვის სხვადასხვა სახის ტრენინგ-მოდულებს სთავაზობს. იკვეთება სკოლის ადმინისტრაციის მზაობა მასწავლებელთა ინოვაციური წინადადებების მხარდასაჭერად.

3.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. თანამშრომლების ინტეგრაცია სასკოლო გარემოსთან, ვიზიტის დროს გამოვლენილი გუნდურობის მაღალი კულტურით დასტურდება. სკოლის ადმინისტრაცია ახალი თანამშრომელის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, დეტალურად უხსნის თანამდებობის შესაბამის ფუნქცია-მოვალეობებს; უზრუნველყოფს სამუშაო სივრცით და საჭირო რესურსებით; აწვდის საჭირო ინფორმაციას პროფესიული განვითარების შესახებ.

3.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებელთა საქმიანობის ეფექტურობის ობიექტურად შეფასების პარალელურად, ზრუნავს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებასა და პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების განხორციელებაზე.

   წარმატებული სამუშაო პრაქტიკის და თანამშრომლობითი მაღალი კულტურის დანერგვის მიზნით სკოლის ადმინისტრაციასაქვს წარმატებული კათედრის წევრებისთვის აქვს პერსონალურ მადლობის გამოცხადების პრაქტიკა.

3.2.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- კონფერენციაში მონაწილეობის სერტიფიკატები;
- დირექტორის ბძანება N2-42.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს სამოქმედო გეგმას. გეგმის მიხედვით ხდება სასწავლო პროცესების შეფასება და მონიტორინგი. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ცვლილების განხორციელება სკოლას გააზრებული აქვს სწავლების ეფექტურად წარმართვისათვის.

   3.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები წარმოჩენილია სასკოლო-სასწავლო გეგმაში და საგნობრივ კურიკულუმებში. სკოლის დირექტორის ბრძანებით სკოლაში შექმნილია

ხარისხის მართვის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო (ბრძანება N2-79), რომელებიც ხელსუწყობენ საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას.

3.3.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის შინაგანაწესში წამოდგენილია სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა (მუხლი 27). სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი. აუცილებლობის შემთხვევაში სკოლა ქმნის სააპელაციო კომისიას.

3.3.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებაში სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებები დაცულია შესაბამისი კანონმდებლობით. როგორც ინტერვიუებისას გამოვლინდა, სასკოლო საზოგადოების წევრები ფლობენ საკუთარი უფლებების შესახებ ავთენტურ ინფორმაციას. შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება სკოლის პერსონალის ხელშეკრულებებში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობების შესახებ შესაბამისი მუხლის არსებობა. სკოლაში არსებობს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის სტრატეგია. ამისათვის სკოლას შექმნილი აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება. სადაც დეტალურად გაწერილია მხარეთა უფლებები და მოვალეობები, კომუნიკაციის ფორმები.

3.3.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- ბრძანება N2-79;
- სკოლის შინაგანაწესი;

- დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში არსებობს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანო, სამეურვეო საბჭო. როგორც წარმომადგენლობითი ორგანო, სამეურვეო საბჭო ფლობს მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონსულტაციის საფუძველზე საბჭო სკოლის ადმინისტრაციას აძლევს უკუკავშირს და მოითხოვს შესაბამის რეაგირებას. ასევე, სკოლას აქვს ოფიციალური Fcebook-გვერდი, რისი საშუალებითაც სასკოლო საზოგადოებას უზიარებს საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

   3.3.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილრბულია.

2. სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობის მნიშვნელობა. მშობლებს ჰყავთ წარმოადგენლები სამეურვეო საბჭოში, თითოეული საფეხურიდან თითო წარმომადგენელი. საბჭოს წევრები მონაწიეობენ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში, ასევე სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვა-შეთანხმების პროცესში.

   3.3.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილრბულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სკოლის Facebook გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ბძანების (ბრძანება N 2-42) საფუძველზე განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ასევე, სკოლაში არსებობს

უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: სკოლის დირექტორი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფს სკოლის პერიმეტრისა და სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი გამოკრულია თვალსაჩინო სივრცეში. სკოლას გააჩნია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებები და საევაკუაციო გეგმა, რომელებიც განთავსებულია სკოლის თითოეულ სართულზე.

სკოლა რეგულალურად მართვას საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, რომლის ფარგლებში მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის, საქართველოს სახალხო დამცველის და მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომრების, ასევე, მანდატურის/უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომრების და აღნიშნული პირების/უწყებების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფოლრმაციას.

ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, შემდეგი გარემოებები: 1) სკოლას არ გააჩნია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით 2023 წლის 15 ივნისს აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით სკოლამ განცახებით მიმართა სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების ცენტრს (არსებობს განცხადებით მიმართვის მტკიცებულება). 2) სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) დამადასტურებელი დოკუმენტი. 3) სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არ არს აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით.

აღნიშნული ხარვეზების მოგვარების მიზნით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით: 1) სახანძრო უსაფრთხოების გამართულობის უზრუნველყოფის დასრულების თარიღად განისაზღვრა 12.09.2024 წ. 2) შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შემოწმების ბოლო ვადად განისაზღვრა 10.09.2024 წ. 3) სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვისათვის დასრულების თარიღად განისაზღვრა 20.05.2024 წ. .

3.4.1.1. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას ჰყავს დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში უცხო პირების გადაადგილების შეზღუდვისა და გაკონტროლების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები: სკოლის შემასასვლელი კარი იკეტება და მას აკონტროლებს საამისოდ გამოყოფილი პირი. სკოლის შინაგანაწესით აკრძალულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა, სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. დირექციის თანხმობის შემთხვევაში, სკოლის ტერიტორიაზე მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და გარეშე პირთა გადაადგილება შესაძლებელია სპეციალური საშვების მეშვეობით. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირი ახორციელებს კონტროლს სკოლის მთელ პერიმეტრზე. სკოლაში არ არის მანდატურის სამსახური.

3.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კლასის დამრიგებლებთან ინტერვიურებისას მასწავლებლება მოკვეთეს პრიორიტეტული თემის ფარგლებში განახორციელებული სასკოლო პროექტი ,,ერთად უსაფრთხო სკოლისთვის“. რომლის მიზანი იყო ძალადობის პრევენციის, გამოვლენის ფორმების და მიმართვიანობის შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება. მომავალში სკოლა კვლავ გეგმავს განახორციელოს მსგავსი აქტივობები. ინტერვიურების პროცესში ასევე დადასტურდა, რომ სკოლაში კლას საათის ფარგლებში მიმდინარეობს ძალადობასა და მათი გამოვლენის ფორმების შესახებ მუშაობა.

3.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას ჰყავს 2 დამლაგებელი. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. შესასვლელთან განთავსებულია დეზობარიერი. შენობის სართულზე განთავსებულია ანტისეპტიკური საშუალებებით სავსე დისპენსერები. საპირფარეშოები უზრუნველყოფილია ხელის ჰიგიენის საშუალებებით (წყალი, თხევადი საპონი და ერთჯერადი ხელსახოცები).

3.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში კანონით გათვალისწინებული წესით უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება. ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი. ადმინისტრაციის განცხადებით, სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე მოსწავლეთა ფოტო-ვიდეო ან სხვა საიდენთიფიკაციო მონაცემების განთავსება ხდება მშობლებისგან ნებართვის მიღების შემდეგ.

3.4.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა, თანამშრომელთა პირადი ინფორმაცია. პირადი საქმეების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, სასწავლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების სკოლის სოციალურ ქსელში განთავსება ხდება მხოლოდ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

3.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. ინტერვიუების დროს სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლაში პერიოდულად მიმდინარეობს უსაფრთხოების ნორმების დაცვის შეფასება, დაკვირვება, ფორმალური და არაფორმალური შემოწმების გზით.

3.4.1.7. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება N 2-42;
- სკოლის დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება N33;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კოლის დირექტორის ანგარიში უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შენობა ორსართულიანია. სასწავლო პროცესისთვის სივრცეები მიზნობრივად არის განსაზღვრული. პირველ სართულზე განთავსებულია დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, საიზოლაციო ოთახი, ექიმის კაბინეტი, ქართული ენის და ლიტერატურის ორი კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, სამასწავლებლო, არქივი, ბუფეტი და სველი წერტილები. მეორე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ოთახი, კოდინგის კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, ინგლისური ენის ორი კაბინეტი, ფიზიკის კაბინეტი და ლაბორატორია, ქიმია- ბიოლოგიის კაბინეტი და ლაბორატორია მათემატიკის ორი კაბინეტი, რუსული ენის კაბინეტი, გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების კაბინეტი, ისტორიის კაბინეტი, მუსიკის კაბინეტი, სახვითი ხელოვნების კაბინეტი, სამოქალაქო განათლების კლუბის ოთახი, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების საცავი ოთახი.

   3.5.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და სხვადასხვა სახის მატერიალური რესურსი, ასევე სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორია, სპორტული და სააქტო დარბაზები მთლიანობაში ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაფერის გარემოს.

   3.5.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლაში არის კეთილმოწყობილი და ადაპტირებული საპირფარეშოები. სკოლას აქვს პანდუსი და სკოლის პირველი სართულზე რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, საჭირო დამხმარე რესურსებით. ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გამოიკვეთა ერთადერთი პრობლემა სპორტული დარბაზის კიბეს არ აქვს პანდუსი, თუმცა ინტერვიუებისას ადმინისტრაციის განცხადებით ამ ეტაპზე სკოლაში არ ფიქსირდება ეტლით მოსარგებლე მოსწავლე და/ან პერსონალი. საჭირეობის შემთხვევაში სკოლა მზად რომ შეხვდეს ამ პრობლემას, დირექტორის განცხადებით უახლოეს მომავალში იგეგმება აღნიშნულ კიბეზე პანდუსის დამონტაჟება.

3.5.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების შესაძლებლობას. სკოლა რეაბილიტირებულია და აღჭურვილია ახალი ინვენტარით და სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერული ტექნიკით. სკოლაში არსებობს სხვადასხვა სახის წრე (ჭადრაკის წრე, ფეხბურთის წრე, უცხო ენების შემსწავლელი წრე) და შესაბამისი რესურსები და სივრცეები. სკოლის პერსონალის განმარტებით, სკოლის სასათბურე მეურნეობა მოსწავლეებს აძლევს სოციალური ურთიერთობის საშუალებას.

3.5.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სკოლაში არსებობს საკმარისი რაოდენობის სამინისტროსთან შეთანხმებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოების ნუსხა დამტკიცებულია სასკოლო-სასწავლო გეგმით. როგორც ინტერვიუებისა მასწავლებლებმა განმარტეს, სასწავლო მიზნებისთვის სხვა დამატებით რესურსებსაც, მათ შორის ელ.რესურსებსაც. ბიბლიოთეკაში არსებობს სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდი.

3.5.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ახალი ლეპტოპებით. ასევე სკოლას გაფორმებული აქვს სამწლიანი მემორანდუმი ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან პროექტის „კოდინგის სკოლა1500 ქალისათვის“, რომლის ფარგლებში, მემორანდუმის პირობების მიხედვით სკოლას გადაეცა 10 ახალი კომპიუტერი. სკოლის ადმინისტრაციის

წევრებისთვის და მასწავლებლებისთვის არსებობს დამატებითი კომპიუტერები. მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები საჭიროების დროს სარგებლობენ აღნიშნული ტექნოლოგიებით.

3.6.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შიდა სივრცე მთლიანად დაფარულია უსადენო ინტერნეტით (WI-FI). დაწესებულებაში კომპიუტერული ტექნიკით მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და სკოლის თანამშრომლებისთვის. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, პროგრემული ან/და ტექნიკური საჭიროების შემთხვევაში მომსახურებას უწევს emisis IT სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურულ გამართულობას.

3.6.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. დაწესებულებას აქვს საქმისწარმოების დებულება, რომელიც არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. დებულების მიზანია სკოლაში დოკუმენტაციისა და დოკუმენტბრუნვის სრულყოფა, ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების თანამდეროვე მიღწევების გამოყენება.

   3.6.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის სკოლა იყენებს eflow-ს ელექტრონულ სისტემას. outlook-ის და Gmail-ის ელექტრონულ ფოსტას, რომლითაც ხორციელდება ელექტრონული წერილების მიღება და გაგზავნა, ბრძანებების, განცხადებების, სამსახურებრივი ბარათების ატვირთვა და გაგზავნა, ცნობების გაცემა.

   3.6.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი. Eschool-ის ბაზაში სრულადაა ასახული სკოლის პერსონალის საკლასო ჯგუფები, სამუშაო გამოცდილება, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პროფესიული განვითარების შესახებ ინფორმაცია.

   3.6.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას დროულად აწვდის და თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ ყველა უწყებასთან. მათ შორის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

   3.6.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების დებულება;
- დირექტორის ბრძანება N2-71;
- eflow/ outlook - გადამოწმება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სოციალური ქსელი Facebook-ის გვერდი (https://www.facebook.com/Bakhvi.Public.School), სადაც რეგულარულად განათავსებს სკოლაში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციას. ინტერვიურების დროს გამოვლინდა, რომ მასწავლებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგნლებთან კომუნიკაციას ,,Messenger" ჯგუფებისა და teams-ის პლატფორმით ამყარებენ. კლასის დამრიგებლებს, სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებთან და მშობლებთან სწრაფი კომუნიკაციისთვის შექმნილი აქვთ Facebook-ჯგუფები. დაწესებულება

სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომელიც მშობლებს შვილის/მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.

დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში წამოდგენილი აქვს სკოლის ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსების პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა საჭირო ინფორმაციას ვებ გვერდზე განათავსებს 2023 წლის 30 სექტემბრამდე.

3.6.3.1. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სოციალური ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაციის გადახედვისა და ინტერვიურების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

3.6.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. როგორც ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება სკოლისთვის პრიორიტეტულია. ახალი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა გეგმავს საზოგადოების წარმომადგენლებთან განსხვავებულ ფორმატს. პირისპირი შეხვედრების გამართვას, მათგან უფრო ეფექტური უკუკავშირის და ინიციატივების მიღების მიზნით.

3.6.3.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში წამოდგენილი აქვს სკოლის ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსების პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა საჭირო ინფორმაციას ვებ გვერდზე განათავსებს 2023 წლის 30 სექტემბრამდე.

3.6.3.4. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში წამოდგენილი აქვს სკოლის ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსების პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა საჭირო ინფორმაციას ვებ გვერდზე განათავსებს 2023 წლის 30 სექტემბრამდე.

3.6.3.5. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმი;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლას აქვს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული ბიუჯეტი. ვაუჩერული დაფინანსება და სსსმ მოსწავლეების დაფინანსება არის სკოლის ძირითადი შემოსავალი. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია პერსონალის ხელფასებისთვის და კომუნალური ხარჯების დასაფარად. დარჩენილი თანხა ნაწილდება სკოლის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით: ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო ნივთებისა და სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსების შესაძენად. ასევე სკოლის ხარჯებში შედის სარემონტო და სახელოსნო სამუშაოების ჩატარება (მერხების, კარებების, სველი წერტილების, ონკანების, კედლების, იატაკის და სხვ. რეაბილიტაცია).

   3.7.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვისას ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავება. ყოველწლიური ბიუჯეტის დამტკიცება ხდება ბუღალტერის და შესყიდვების კოორდინატორის ჩართულობით წინა წლის ფინანსური დანახარჯების მიზნობრიობის და გეგმის შესრულების ანალიზის საფუძველზე. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულების დადგენის მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს ბაზრის კვლევას. ბიუჯეტის მონიტორინგს სკოლა ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად.

   3.7.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
- სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მათი დაცვის გარანტიები. დოკუმენტში მოცემულია მოსწავლეთა ფსიქო-ფიზიკური უსაფრთხოება, ხარისხიანი განათლების მიღების უფლება, საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმირებულობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, გამოხატვის, შეკრების და რწმენის თავისუფლება. დოკუმენტი განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს და

გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს. მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ სკოლის მართვაში, ჰყავთ საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში.

4.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში სხვადასხვა ხერხით. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. ინტერვიურებისას სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, სკოლაში რეგულარულად ტარდება საინფორმაციო ტიპის ღონისძიებები, რომელთა მიზანია მოსწავლეთა უფლებების მხრივ ცნობიერების ამაღლება. დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სადამრიგებლო პროგრამები, რომელის ფარგლებშიც ხდება მოსწავლეებისა და მათი მშობლების უფლებათა შესახებ ინფორმირება.

4.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში გაწერილია მხარეთა უფლებები და მოვალეობები. გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და უსაფრთხოება.

4.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- ხელშეკრულებები;
- საინფორმაციო დაფა;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები. დაწესებულებაში ვიზიტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის დათვალიერების საფუძველზე მოსწავლეთა ჩარიცხვა, ამორიცხვა და მობილობა ვადებისა და კანონმდებლობის სრული დაცვით მიმიდინარეობს.

   4.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. სკოლას წინასწარ აქვს განსაზღვრული პირველ კლასში მისაღებ მოსწავლეთა რაოდენობა. მათ შორის სსსმ მოსწავლეების მისაღები რაოდენობა.

   4.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს არანაირ დამატებით ფასიან მომსახურებას. საწრეო მომსახურება არის უფასო და ნებაყოფლობითი.

4.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროგრამების, სერვისების, რესურსების შესახებ ინფორმაციის სკოლის მიერ გავრცელება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, მისი ყველა დოკუმენტი გამჭვირვალეა და თანხვედრაშია განათლების შესახებ საქართველოს კანონთან. მათი გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხორციელდება საჯაროდ.

4.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სკოლის Facebook-გვერდი;
- საინფორმაციო დაფა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს.

4.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სასკოლო გარემო მოსწავლეთა საჭიროებებზეა მორგებული. საკლასო ოთახებში ასაკის შესაბამისი მერხები და სკამებია დალაგებული. სკოლის განმარტებით, ყველა მოსწავლისათვის დანერგილია ადაპტაციის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენას, რაც მოიცავს 3 სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და პიროვნულს.

4.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის იყენებს საკონსულტაციო სისტემას, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობით - რემედიაციით, დიაგნოსტიკური წერებით. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

4.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორის განმარტებით, დირექცია აქტიურ მხარდაჭერას უცხადებს მოსწავლეთა ნებისმიერ ინიციატივებს. სკოლა ხელსუწყობს მოსწავლეებს ინოვაციური იდეებისა და ხედვების რეალიზებაში.

4.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში დასაქმებული პერსონალი, უზრუნველყოფენ დამატებითი არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერას. სკოლა ცდილობს, მოსწავლეს მისცეს დამოუკიდებლობის და შემოქმედებითი უნარების განვითარების საშუალება. ამ მიზნით, მოსწავლეები ჩართული არიან სასკოლო კლუბებში, საგანმანათლებლო პროექტებში. როგორც განიმარტა ხდება მათი ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა (საკლასო, სასკოლო გამოფენები, პრეზენტაციები).

4.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესში ჩართული პირების ინტერესებს, აღნიშნული ინტერესების გამოკვეთა და მათი ინიციატივების მიღება ხდება მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალურ შეხვედრებზე, უკუკავშირის შედეგად იგეგმება და ხორციელდება შესაბამისი აქტივობები, რომელიც მიმართულია გამოკვეთილი პრობლემური საკითხების მოგვარებაზე. მასწავლებლები მოსწავლეებისგან იღებენ უკუკავშირს ითვალისწინებენ მოსწავლეთა აზრს, შეაქვთ კორექტირება სასწავლო კურიკულუმში.

4.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- USAID სამოქალაქო განათლების პროგრამასთან პარტნიორობის ცნობა;
- ბტუ-სთან გაფორმებული მემორანდუმი;
- სასწავლო გეგმები;
- ინტერვიუები;
- ვიზუალური დათვალიერება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სკოლა მოსწავლეებს ხელსუწყობს პროფესიული ორიენტაციის განვითარებაში სხვადასხვა პროექტებისა და აქტივობების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის დროს კლასის დამრიგებლებმა ინტერვიუებში გამოკვეთეს სკოლის მიერ დაგეგმილი პროფორიენტაციის ამოცანები:

   • მოსწავლის შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენა;

   • მოსწავლისთვის პროფესიების გაცნობა.

   • კონკრეტული პროფესიის სწორედ არჩევანში დახმარება.

სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელთან, რომლებიც მართავენ ღია კარის დღეებს სკოლაში.

4.2.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, პერიოდულად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდება კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მეშვეობით, ხოლო მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ მშობელთა კრებების და ინდივიდუალური შეხვედრების ფარგლებში.

4.2.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. იკვლევს კურსდამთავრებულებთა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების სტატისტიკას. მონაცემების კი სკოლა ითვალისწინებს სამომავლო საქმინობის დაგეგმვაში.

4.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებელსი ჩარიცხვის სტატისტიკა;

- სადამრიგებლო პროგრამები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. მოსწავლეთა შეფასება და შესაბამისად სტატუსის მინიჭება მოხდა მშობელთა მიმართვის საფუძველზე. სსსმ მოსწავლის განვითარება მხარდაჭერილია სკოლის სასწავლო გეგმით. ისგ ჯგუფის მიერ შემუშავებულია მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და შეფასების მექანიზმი. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობს სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი. რესურსოთახი აღჭურვილია სსსმ მოსწავლეებისათვის საჭირო სასწავლო რესურსით.

   4.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში ინკლუზიური განათლების კულტურა მაღალია. შექმნილია ინკლუზიური სწავლებისადმი პოზიტიური გარემო. სსსმ მოსწავლის სწავლა/სწავლების პროცესისათვის სკოლას აქვს რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლის საჭიროებებისათვის აუცილებელი სასწავლო რესურსით. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. საპირფარეშო კეთილმოწყობილი და ადაპტირებულია. სპეციალურ მასწავლებელთან ინტერვიუებისას განიმარტა, რომ სსსმ მოსწავლეების მშობლები აქტიურად არიან ჩართული ისგ შედგენაში, მოსწავლის შესაძლებლობების განსაზღვრასა და გათვალისწინებაში.

   4.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ნკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ისგ ჯგუფის გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება შესაბამისი კანომდებლობის დაცვით. სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია

ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლა აწარმოებს ყოველდღიურ ტაბელს და აწვდის სატრანსპორტო კომპანიას;

4.2.4.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. გარდა სატრანსპორტო მომსახურებისა სკოლა არანაირ არასავალდებულო მომსახურებას არ ეწევა;

4.2.4.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ტრანსპორტირების სერვისის მომსახურების ფარგლებში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს.

4.2.4.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება ტრანსპორტის მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- სატრანსპორტო ტაბელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი- დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ადგილზე ვიზიტით დადასტურდა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მთლიანობაში გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის წარმართვას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები, სკოლის შინაგანაწესი, საგნობრივი კათედრების ფუნქციები) შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა საგნის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის პროექტი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მათ გაითვალისწინეს წინა წლების გამოცდილება. დაწყებითი საფეხურის კათედრაზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები, ჩატარებული ომპლექსური დავალებები. შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა მშობლებსა და სკოლის ადმინისტრაციას. დაიგეგმა შეხვედრა მშობლებთან, რათა ესაუბრათ ზოგადი განათლების რეფორმის უპირატესობაზე, კურიკულუმის შექმნის მიზნებზე, გაიმართა დისკუსია. ზოგიერთი კომპლექსური დავალების

მიმართ გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები ბავშვების ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნაწილობრივ არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპიურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას.

2.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სავალდებულო თემების რომელი საკითხები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებია გამოკვეთილი. სავალდებულო თემების, საკითხებისა და შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზით შეიძლება დავადასტუროთ, რომ სასწავლო კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს, ასევე, დაფიქსირებულია მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მოსაზრებები გამოკითხვების, SWOT-ანალიზის და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა , რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნისას სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. კათედრების მიხედვით, კურიკულუმზე მუშაობისას, მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შერჩეული კომპლექსური დავალებების შესახებ ხდება მშობლების ინფორმირება, უგზავნიან მათ ბარათებს და ღებულობენ მშობელთა უკუკავშირებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების შესახებ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ მშობელთა საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. ზოგიერთ მშობელს ხელი არ მიუწვდება ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებზე, ამიტომ მ მათ მიეწოდებათ ამობეჭდილი ვერსია. სასწავლო წლის დაწყებამდე, მშობელთა კრებაზე განვიხილავენ იმ დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოუწევთ სასწავლო წლის განმავლობაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *სკოლის შინაგანაწესი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები*
- *საგნობრივი კათედრების ფუნქციები*
- *საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები*
- *სადამრიგებლო პროგრამები*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზით ჩანს, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: ხუთი საგანმანათლებლო პრინციპის მიხედვით გათვალისწინებულია

მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული, მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნა, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება და ცოდნის ტრანსფერის ხელშეწყობა. საგნობრივი ჯგუფების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში გრძელვადიან მიზნებად მითითებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჰოლისტურად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო პროგრამების აღმწერ დოკუმენტებში -საგნობრივი კურიკულუმებში მოცემულია შუალედური სასწავლო მიზნები-კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისი ფორმითა და შინაარსით მიმართულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნების დამუშავებაზე - სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები. სასწავლო პროცესის ამგვარი დაგეგმვა და განხორციელება ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაკლებად იკვეთება დიფერენცირებული/ ინკლუზიური მიდგომები , თუმცა ზოგიერთი კომპლექსური დავალების პირობა იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს საშუალებას აძლევს ინტერესის,

საჭიროების და შესაძლებლობების მიხედვით წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა/უნარები. დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები უფრო ნათლად გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს, გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ინფორმირებული არიან ამ კუთხით. ინტერვიუებისას მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში; თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ მასწავლებელები ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად მიდგომებსა და სტრატეგიებს, ხდება როგორც კომპლექსური დავალების ფორმისა და შინაარსის, ასევე, სამიზნე ცნებების რაოდენობისა და მისაღწევი შედეგების მოდიფიცირება/ადაპტირება;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით სკოლა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე, სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში

მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ცხრილები;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, რაც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ, წინარე ცოდნაზე დაფუძნებულ კონსტრუქტივისტულ სასწავლო პოცესს. როგორც საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, კურიკულუმების შედგენისას მასწავლებლები კათედრებზე ახდენენ წინა წლების სასწავლო პროცესის ანალიზს, რომლის საფუძველზეც შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში, მაგ.:კათედრებს შერჩეული აქვთ და წარმოდგენილი რესურს N 12-ის სახით სადიაგნოსტიკო შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი , რომლის მიხედვითაც აპირებენ მომდევნო სასწავლო წელს მიმნიმუმ ორჯერ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებას მოსწავლეთა წინარე ცოდნის დასადგენად, ანალიზის შემდეგ მიღებული შედეგების შესაბამისად გეგმავენ გარკვეული ღონისძიებების გატარებას, ღონისძიებების ეფექტიანობას შეამოწმებენ მეორე სადიაგნოსტიკო შეფასებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *თვითშეფასების ფორმა*
- *საგნობრივი კურიკულუმი*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- ინდ სასწავლო გეგმები;
- მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, ხდება მათი ინიციატივების წახალისება და შეხედულებების გათვალისწინება. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები სასწავლო შემოქმედებით პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას ისახავს მიზნად. როგორც აღვნიშნეთ, ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება კომპლექსური დავალებები, რომლის ფარგლებშიც ვითარდება მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი უნარები. ამავე მიზანს ემსახურება სხვადასხვა ტიპის საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობები. სკოლის ბაზაზე განხორციელებული სასკოლო პროექტებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართვას, რაზეც მეტყველებს არამარტო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არამედ სკოლის სოციალური ქსელებიც. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა -სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგილ საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, კათედრები მიზნად ისახავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა/სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას

ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში, რაც გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ რომ სწავლა/სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში არ იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. თუმცაღა, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება ყველა საგანში, მაგ, აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენონ თვითშეფასების რუბრიკები, მეტაკოგნიტური სქემები, დიაგრამები, ხელს უწყობენ მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებასა და დამუშავებას, პრეზენტაციას, რაც,საბოლოო ჯამში, მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს; საერთო შეფასებით, კათედრების წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია კურიკულუმში გაწერილ აქტივობებში;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის მაგალითებს ასახავს. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ხდება მოწავლეების სამივე კატეგორიის ცოდნით აღჭურვა. ამ პროცესს ხელს უწყობს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები: პრაქტიკული სამუშაოები, ღონისძიებები და სხვა. ინტერვიუსას დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ცოდნის ორგანიზებისთვის ტარდება შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებები. . სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ გეგმავენ დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ***საგნობრივი კურიკულუმი***
- ***კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია***
- ***მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;***
- ***შეფასების რუბრიკები;***
- ***ინდ .სასწავლო გეგმები;***
- ***სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები.***

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე (საფეხურის შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაზე მზაობაც საგნობრივ კათედრებს აქვთ. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილია ყველა საგნის სამიზნე ცნებები, რომელთა დამუშავებაც ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში კომპლექსური დავალებების დახმარებით;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო მოსწავლეთა ჰარმონიული განვითარებისათვის;კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი შეფასებები და კომენტარები, დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლას-საათები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, თვითშეფასების ამაღლებაში, სოციალური უნარების განვითარებაში და ემოციების მართვაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

დაწყებით საფეხურზე დანერგილი შეფასების სისტემა ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ამისათვის გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ფორმები: ტესტები, კომპლექსური დავალებები, განმავითერებელი კომენტარები, შეფასების რუბრიკები, პროექტები, პრეზენტაციები და სხვა. შეფასება არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე და ემსახურება მოსწავლის პროგრესს, თუმცა საჭიროა მეტად დაიხვეწოს შეფასების სისტემა, რათა უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარება. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები პირველიდან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით. მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში - როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. მათ გააზრებული აქვთ, რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი, ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და სექტემბრისთვის გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლაში დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები, შეფასების რუბრიკები, „გასასვლელი და შემოსასვლელი ბილეთები“, „ჭეშმარიტი და მცდარი დებულებები“ და ა.შ.; მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება დირექციასა და პედაგოგთა შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს; პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა რომ .შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც მასწავლებელმა მათ გააცნო. შეფასება არის გამჭვირვალე, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის მიერ შემუშავებლი და გაზიარებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი პროცედურულად გაწერილი იყო ზოგადი სახით; კონკრეტულად შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები მოცემული არ იყო. სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (2-55) დამტკიცებული ვერიფიკაციის ინსტრუქცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა აწარმოებს შეფასებსთან დაკავშირებულ მონაცემებს, როგორც ელექტრონული ჟურნალის ასევე პედაგოგების პირადი ჩანაწერების სახით. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეთა შეფასება და შეფასებისთვის განკუთვნილი ჩაბარებული დავალებები შენახული იყოს, რასაც ადასტურებს პედაგოგების მიერ გაზიარებული მოსწავლეთა ნაშრომების ამსახველი დამადასტურებელი მასალა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები*
- *საგნობრივი კათედრების ფუნქციები*
- *საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები*
- *სადამრიგებლო პროგრამები*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, სკოლამ უნდა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავება და განხორციელება, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემო,, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა. თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემებზე ორიენტირებული კომუნიკაცია და გაზიარებული პასუხისმგებლობა სასკოლო გარემოს პოზიტიურ მართვას უწყობს ხელს. სკოლის მისიასა და ხედვაში მთავარი ორიენტირი არის მოსწავლე. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან მიმღებლობითი გარემო. კათედრის წევრებს ხშირად აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედ. კოლექტივსა და დირექციას შორის, იღებენ ბევრ საჭირო რჩევას და რეკომენდაციას. მზრუნველობითი დამოკიდებულება აქვთ ბავშვებთან, დადებითად ფასდება პედაგოგთა და მშობელთა თანამშრომლობა. სისტემატურად მუშაობენ კათედრებთან ლიდერი მასწავლებლებიც, რომლებიც კოლეგებთან მუდმივად ატარებენ შეხვედრებს და უზიარებენ სასარგებლო გამოცდილებებს. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული სსსმ პედაგოგებიც, მათ აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან, რეგულარულად იმართება მშობელთა კრებები. კლასის საათი სხვადასხვა თემაზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

.2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3.. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები,კონფერენციები, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზი, დაკვირვებისა და ჩანაწერების წარმოება, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება. პედაგოგებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მომდევნო საწავლო წლისთვის შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე განახორციელონ კვლევა, რომელიც დაეხმარება დაადგინონ, თუ როგორ მიმდინარეობს საბაზო საფეხურზე დაგეგმილი კურიკულუმის განხორციელება. ხარისხის განვითარების მართვის ჯგუფის წარმომადგენელთა მონიტორინგმა ცხადყო, რომ სხვადასხვა საგნობრივ კათედრაზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო და განმავითარებელი შეფასება ისევ რჩება პრობლებურ საკითხად, რომელზეც მუშაობა კვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. კვლევებით მიღებული გამოცდილებისა და შედეგების გაანალიზებით ხდება მონაცემთა დამუშავება, რეიტინგების შედგენა, სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ : აკადემიური

მოსწრება, შუალედური მიზნების სირთულე, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **ინდ სასწავლო გეგმები;**
- **სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;**
- **კათედრების სხდომის ოქმები;**
- **პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და მათთან ჩატარებული გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ მოცემულ ეტაპზე სკოლას საბაზო საფეხურზე არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. მიმდინარე ს/წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სასწავლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის მოდიფიცირება ეყრდნობოდა წინარე გამოცდილებას. პედაგოგებმა საკუთარი წინარე გამოცდილება შეაჯამეს კათედრების სხდომებზე და გაანალიზეს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რომლებიც

ასახული იყო თვითრეფლექსიებსა და ერთმანეთისათვის მიცემულ უკუკავშირში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას წლიურ სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორნიგისა და მოდიფიცირების მექანიზმი, რომელიც სამომავლოდ განაპირობებს სკოლის მიერ პროცესის შეფასებასა და შეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინდ სასწავლო გეგმები;*
- *სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;*
- *კათედრების სხდომის ოქმები;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი- საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ადგილზე ვიზიტით დადასტურდა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მთლიანობაში გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის წარმართვას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები, სკოლის შინაგანაწესი, საგნობრივი კათედრების ფუნქციები) შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე სხვადასხვა საგნის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის პროექტი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მათ გაითვალისწინეს წინა წლების გამოცდილება. საშუალო საფეხურის საგნობრივ კათედრებზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები, უკვე ჩატარებული კომპლექსური დავალებები. შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია,

რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა მშობლებსა და სკოლის ადმინისტრაციას. დაიგეგმა შეხვედრა მშობლებთან, რათა ესაუბრათ ზოგადი განათლების რეფორმის უპირატესობაზე, კურიკულუმის შექმნის მიზნებზე, გაიმართა დისკუსია. ზოგიერთი კომპლექსური დავალების მიმართ გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები ბავშვების ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნაწილობრივ არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპიურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სავალდებულო თემების რომელი საკითხები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებია გამოკვეთილი. სავალდებულო თემების, საკითხებისა და შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზით შეიძლება დავადასტუროთ, რომ სასწავლო კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს, ასევე, დაფიქსირებულია მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მოსაზრებები გამოკითხვების, SWOT-ანალიზის და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა , რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნისას სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. კათედრების მიხედვით, კურიკულუმზე მუშაობისას, მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შერჩეული კომპლექსური დავალებების შესახებ ხდება მშობლების ინფორმირება, უგზავნიან მათ ბარათებს და ღებულობენ მშობელთა უკუკავშირებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

საშუალო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების შესახებ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ ს მშობელთა საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. ზოგიერთ მშობელს ხელი არ მიუწვდება ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებზე, ამიტომ მ

ათ მიეწოდება მათ მიეწოდებათ ამობეჭდილი ვერსია. სასწავლო წლის დაწყებამდე, მშობელთა კრებაზე განვიხილავენ იმ დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოუწევთ სასწავლო წლის განმავლობაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *სკოლის შინაგანაწესი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები*
- *საგნობრივი კათედრების ფუნქციები*
- *საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები*
- *სადამრიგებლო პროგრამები*

2.1.4. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზით ჩანს, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: ხუთი საგანმანათლებლო პრინციპის მიხედვით გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული, მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნა, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება და ცოდნის ტრანსფერის ხელშეწყობა. საგნობრივი ჯგუფების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში გრძელვადიან მიზნებად მითითებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნისა და საჭიროებების

გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჰოლისტურად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო პროგრამების აღმწერ დოკუმენტებში -საგნობრივი კურიკულუმებში მოცემულია შუალედური სასწავლო მიზნები-კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისი ფორმითა და შინაარსით მიმართულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნების დამუშავებაზე - სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები. სასწავლო პროცესის ამგვარი დაგეგმვა და განხორციელება ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაკლებად იკვეთება დიფერენცირებული/ ინკლუზიური მიდგომები , თუმცა ზოგიერთი კომპლექსური დავალების პირობა იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს საშუალებას აძლევს ინტერესის, საჭიროების და შესაძლებლობების მიხედვით წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა/უნარები. დიფერენცირებული/ინკლუზიური

მიდგომები უფრო ნათლად გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს, გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ინფორმირებული არიან ამ კუთხით. ინტერვიუებისას მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში; თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ მასწავლებელები ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად მიდგომებსა და სტრატეგიებს, ხდება როგორც კომპლექსური დავალების ფორმისა და შინაარსის, ასევე, სამიზნე ცნებების რაოდენობისა და მისაღწევი შედეგების მოდიფიცირება/ადაპტირება;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მოსწავლის აკადემიური წინსვლის პროგრესს. 2023–2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით სკოლა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის

ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე, სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ცხრილები; მომავალი სასწავლო წლისათვისაც შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელთა შექნის პროცესში ჩაერთვებიან მოსწავლეებიც, რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ შესასწავლი საკითხის მიზნები და აიღონ პასუხისმგებლობა. კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, რაც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ, წინარე ცოდნაზე დაფუძნებულ კონსტრუქტივისტულ სასწავლო პოცესს. როგორც საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, კურიკულუმების შედგენისას მასწავლებლები კათედრებზე ახდენენ წინა წლების სასწავლო პროცესის ანალიზს, რომლის საფუძველზეც შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში, მაგ.:კათედრებს

შერჩეული აქვთ და წარმოდგენილი რესურს N 12-ის სახით სადიაგნოსტიკო შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი , რომლის მიხედვითაც აპირებენ მომდევნო სასწავლო წელს მიმნიმუმ ორჯერ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებას მოსწავლეთა წინარე ცოდნის დასადგენად, ანალიზის შემდეგ მიღებული შედეგების შესაბამისად გეგმავენ გარკვეული ღონისძიებების გატარებას, ღონისძიებების ეფექტიანობას შეამოწმებენ მეორე სადიაგნოსტიკო შეფასებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ***საგნობრივი კურიკულუმი***
- ***კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია***
- **ინდ სასწავლო გეგმები;**
- **მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;**
- **კათედრის ოქმები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის განხორციელება

სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

საშუალო საფეხურზე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, ხდება მათი ინიციატივების წახალისება და შეხედულებების გათვალისწინება. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები სასწავლო შემოქმედებით პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას ისახავს მიზნად. როგორც აღვნიშნეთ, ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება კომპლექსური დავალებები, რომლის ფარგლებშიც ვითარდება მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი უნარები. ამავე მიზანს ემსახურება სხვადასხვა ტიპის საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობები. სკოლის ბაზაზე განხორციელებული სასკოლო პროექტებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართვას, რაზეც მეტყველებს არამარტო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არამედ სკოლის სოციალური ქსელებიც. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა -სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგილ საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, კათედრები მიზნად ისახავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა/სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია

წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც წარმოდგენილია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, რაც გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ რომ სწავლა/სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში არ იკვეთება, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. თუმცაღა, ინტერვიუს პროცესში გამომოჩნდა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება ყველა საგანში, მაგ, აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენონ თვითშეფასების რუბრიკები, მეტაკოგნიტური სქემები, დიაგრამები, ხელს უწყობენ მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებასა და დამუშავებას, პრეზენტაციას, რაც,საბოლოო ჯამში, მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს; საერთო შეფასებით, კათედრების წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია კურიკულუმში გაწერილ აქტივობებში;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სკოლის მიერ წამოდგენილი საშუალო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის მაგალითებს ასახავს. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ხდება მოწავლეების სამივე კატეგორიის ცოდნით აღჭურვა. ამ პროცესს ხელს უწყობს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები: პრაქტიკული სამუშაოები, ღონისძიებები და სხვა. ინტერვიუსას საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას .

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით საშუალო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ცოდნის ორგანიზებისთვის ტარდება შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებები. . სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საშუალო საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ გეგმავენ დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმი*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინდ .სასწავლო გეგმები;*
- *სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე (საფეხურის შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაზე მზაობაც საგნობრივ კათედრებს აქვთ. სკოლის მიერ წარმოდგენილ

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილია ყველა საგნის სამიზნე ცნებები, რომელთა დამუშავებაც ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში კომპლექსური დავალებების დახმარებით;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საშუალო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო მოსწავლეთა ჰარმონიული განვითარებისათვის;კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი შეფასებები და კომენტარები, დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლას-საათები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, თვითშეფასების ამაღლებაში, სოციალური უნარების განვითარებაში და ემოციების მართვაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

საშუალო საფეხურზე დანერგილი შეფასების სისტემა ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ამისათვის გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ფორმები: ტესტები, კომპლექსური დავალებები, განმავითერებელი კომენტარები, შეფასების რუბრიკები, პროექტები,

პრეზენტაციები და სხვა. შეფასება არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე და ემსახურება მოსწავლის პროგრესს, თუმცა საჭიროა მეტად დაიხვეწოს შეფასების სისტემა, რათა უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარება. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასება არის მრავალმხრივი პროცესი, სადაც ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და სექტემბრისთვის გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლაში დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები, შეფასების რუბრიკები, „გასასვლელი და შემოსასვლელი ბილეთები“, „ჭეშმარიტი და მცდარი დებულებები“ და ა.შ.; მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება დირექციასა და პედაგოგთა შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს; პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა რომ .შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც მასწავლებელმა მათ გააცნო. შეფასება არის გამჭვირვალე, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის მიერ შემუშავებლი და გაზიარებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი პროცედურულად გაწერილი იყო ზოგადი სახით; კონკრეტულად შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები მოცემული არ იყო. სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (2-55) დამტკიცებული ვერიფიკაციის ინსტრუქცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა აწარმოებს შეფასებსთან დაკავშირებულ მონაცემებს, როგორც ელექტრონული ჟურნალის ასევე პედაგოგების პირადი ჩანაწერების სახით. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეთა შეფასება და შეფასებისთვის განკუთვნილი ჩაბარებული დავალებები შენახული იყოს, რასაც ადასტურებს პედაგოგების მიერ გაზიარებული მოსწავლეთა ნაშრომების ამსახველი დამადასტურებელი მასალა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ***სკოლის შინაგანაწესი***

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები*
- *საგნობრივი კათედრების ფუნქციები*
- *საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები*
- *სადამრიგებლო პროგრამები*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, სკოლამ უნდა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავება და განხორციელება, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემო,, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა. თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემებზე ორიენტირებული კომუნიკაცია და გაზიარებული პასუხისმგებლობა

სასკოლო გარემოს პოზიტიურ მართვას უწყობს ხელს. სკოლის მისიასა და ხედვაში მთავარი ორიენტირი არის მოსწავლე. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან მიმღებლობითი გარემო. კათედრის წევრებს ხშირად აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედ. კოლექტივსა და დირექციას შორის, იღებენ ბევრ საჭირო რჩევას და რეკომენდაციას. მზრუნველობითი დამოკიდებულება აქვთ ბავშვებთან, დადებითად ფასდება პედაგოგთა და მშობელთა თანამშრომლობა. სისტემატურად მუშაობენ კათედრებთან ლიდერი მასწავლებლებიც, რომლებიც კოლეგებთან მუდმივად ატარებენ შეხვედრებს და უზიარებენ სასარგებლო გამოცდილებებს. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული სსსმ პედაგოგებიც, მათ აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან, რეგულარულად იმართება მშობელთა კრებები. კლასის საათი სხვადასხვა თემაზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

.2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3.. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები,კონფერენციები, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

ფიზიკური უსაფრთხოების გარდა, სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში ჩართულია კლასის დამრიგებლები, საგნების პედაგოგები და დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, კლუბური საქმიანობა და ა.შ. სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების

ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები*
- *საგნობრივი კათედრების ფუნქციები*
- *საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები*
- *სადამრიგებლო პროგრამები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. მასწავლებელთა შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. არსებობს კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით შექნილი რეფლექსიები და თვითრეფლექსიები, მაგრამ ამ ეტაპზე მოქმედი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი, თანმდევი და განუყოფელი შეფასების სისტემა არ არსებობს.სკოლის პერსონალთან ინტერვიურების პროცესში იკვეთება, რომ სკოლა მუშაობს ამგვარი ჩარჩო-დოკუმენტის შექმნაზე, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ახალი სასწავლო წლიდან, კურიკულუმის შემუშავების პარალელურად, ჩამოყალიბდება კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას. აღნიშნული ჯგუფში გაერთიანდებიან კათედრის ხელმძღვანელები, კათედრაზე არჩეული საგნის მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენელი. აღნიშნული ჯგუფი კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მასწავლებელთა რეფლექსიები და თვითრეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის

ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასებისათვის, სკოლამ საწყის ეტაპზე აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული პირველი ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. კათედრებს დაევალათ შეარჩიონ კომპლექსური დავალებები და შეიმუშავონ შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინდ სასწავლო გეგმები;
- სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1,შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლა შეფასებისას იყენებს თითოეული საგნის სტანდარტის ფარგლებში კათედრებზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილ განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს:გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა, აქტიურობა, ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი

ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალიწინებით, რაც გულისხმობს კონკრეტული სიტუაციის გაანალიზებასა და სპეციფიკური გარემოებების გათვალიწინებას, რომელსაც შესძლოა ემოქმედა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებაში ჩართულია როგორც ადმინისტრაცია, ასევე სკოლის პედაგოგები. ადმინისტარცია ითვალისწინებს პედაგოგეგბის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და გეგმავს პროცესის გაუმჯობესების გზებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზი, დაკვირვებისა და ჩანაწერების წარმოება, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება. პედაგოგებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მომდევნო საწავლო წლისთვის შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე განახორციელონ კვლევა, რომელიც დაეხმარება დაადგინონ, თუ როგორ მიმდინარეობს საშუალო საფეხურზე დაგეგმილი კურიკულუმის განხორციელება. ხარისხის განვითარების მართვის ჯგუფის წარმომადგენელთა მონიტორინგმა ცხადყო, რომ სხვადასხვა საგნობრივ კათედრაზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო და განმავითარებელი შეფასება ისევ რჩება პრობლებურ საკითხად, რომელზეც მუშაობა კვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. კვლევებით მიღებული გამოცდილებისა და შედეგების გაანალიზებით ხდება მონაცემთა დამუშავება, რეიტინგების შედგენა, სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ : აკადემიური მოსწრება, შუალედური მიზნების სირთულე, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით

დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **ინდ სასწავლო გეგმები;**
- **სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;**
- **კათედრების სხდომის ოქმები;**
- **პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და მათთან ჩატარებული გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ მოცემულ ეტაპზე სკოლას საშუალო საფეხურზე არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. მიმდინარე ს/წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სასწავლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის მოდიფიცირება ეყრდნობოდა წინარე გამოცდილებას. პედაგოგებმა საკუთარი წინარე გამოცდილება შეაჯამეს კათედრების სხდომებზე და გაანალიზეს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რომლებიც

ასახული იყო თვითრეფლექსიებსა და ერთმანეთისათვის მიცემულ უკუკავშირში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას წლიურ სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორნიგისა და მოდიფიცირების მექანიზმი, რომელიც სამომავლოდ განაპირობებს სკოლის მიერ პროცესის შეფასებასა და შეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინდ სასწავლო გეგმები;*
- *სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;*
- *კათედრების სხდომის ოქმები;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 22.09.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: